## მთხრობელის ნარატიული სტატუსი

მთხრობელის სტატუსი ყველაზე მნიშვნელოვანია ნაწარმოებში. ტარდიციულად, (შეიძლება ითქვას, ფსიქოლოგიურადაც) მკითხველი ამბის მთხრობელს ავტორთან აიგივებს. ბუნებრივია, რომ ავტორის მსჯელობის, მისი აზრების (თუნდაც პერსონაჟების პირით იყოს ნათქვამი) თავად ავტორს მიეწერება; მაგრამ, თუ ლიტერატურული ნაწარმოები მხოლოდ ფიქციაა, დროითა და სივრცით შემოფარგლული, ავტორმა, ნაწარმოების გამოქვეყნების შემდეგ, შესაძლოა აზრი შეიცვალოს და თავისი სათქმელი უკვე სხვა ფორმით და სხვა სახით შესთავაზოს მკითხველს, ამიტომ, მთხრობელის და ავტორის გაიგივება მიზანშეწონილი არაა.

თავის ნაშრომში, ნარატიოლოგია, ვოლფ შმიდი აყალიბვებს სქემას, რომლის მოწოდება მნიშვნელოვნად მიგვაჩნია:



ამბავს მოგვითხრობს მთხრობელი. იგი შეიძლება არც კი იყოს ამბის მონაწილე, მაგრამ დამოკიდებულება მონათხრობის მიმართ მაინც ექნება.. ამიტომ, მთხრობელის ნარატიულ ინსტანციაზე მსჯელობისას, ანგარიში სწორედ ამ ორ საკითხს უნდა გავუწიოთ: რა დამოკიდებულება აქვს მთხრობელს მოთხრობილთან? (არის თუ არ იგი რომანის პერსონაჟი) და ის ნარატიული დონე, რომელსაც მთხრობელი იკავებს.

პირველ შენთხვევაში ორი შესაძლებლობა არსებობს: მთხრობელი რომანის პერსონაჟია ან არა. რომანში მოთხრობილი ამბავი სდროსა და სივრცეცში ვითარდება. ამ დროს და სივრცეს, რომელშიც ვითარდება მოქმედება, **დიეგესისი** (დიეგეზისი) ეწოდება. თუ მთხრობელი მონაწილეა ამბის, მას **ჰომოდიეგესურს** ვუწოდებთ (ქართულ ლიტერატურისმცოდნეობაში იხმარება ტერმინი ჰომოდიეგეტური). თუ მთხრობელი ამბის მონაწილე არაა, მას **ჰეტეროდიეგესურს** უწოდებენ.

შეიძლება რომანში მომხდარს მხოლოდ ერთი მთხრობელი ჰყავდეს – მას **ექსტრადიეგესური** მთხრობელი ეწოდება. თუ, მოვლენათა თხრობის პროცესში, კიდევ ერთი (ან რამდენიმე) მთხრობელი გამოჩნდა, იგი (ისინი) **ინტრადიეგესური** იქნება (მეორეული, მესამე . . .).